# სახალხო გაზეთი

№ 700 სამშაბათი, 18 სექტემბერი 1912 წ. № 700

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან შთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 30 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც ,,გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია ,,გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

## კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

სამშაბათს, 18 ენკენისთვეს 1912 წ. ქართ. სახ. წარ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან

### გ ა მ ც ე მ ი

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ; ქ.ქ. მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, ა. კაჩელი, ე. ციმაკურიძე, ბ.ბ. მ. ინაშვილი, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, ალ. შანშიევი და ნ. ჭანკვეტაძე. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილების ფასი 5 კ—ან 50 კ—მდე. შემდეგი წარმოდგენა 23 ენკენისთვეს.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**
ადმინისტრატორი **გ. აბელოვი.** (2.1499.1) მორიგი წევრი გამგ. **დ ბაქრაძე**

## ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა

იწვევს გამოცდილ მასწავლებლებს

ატენისა (გორის მაზრაშია).

და შრომის (სიღნაღის მაზრაშია) სკოლებისათვის. მასწავლებელს ექნება ჯამაგირი 360 მან. წელიწადში, ბინა და შეშა. თხოვნები მიიღება მხოლოდ 20 ენკენისთვემდის. (2.1505.1)

—✦ **გამოსულია და იყიდება** ✦—

## ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,მემკვიდრეობა", დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მადათოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკოვიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფიდოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.108)

## ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 20 სექტემბერს 1912 წ.** ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

1. **დათვი** ვოდევ. 1 მოქ. ჩეხოვისა, თარგ. გ. ვოლსკისა
2. პირველად ახალი ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა **მთის ზღაპარი** დრამა 3 მოქ. ამ პიესისთვის დამზადებულია ახალი დეკორაციები.

**მონაწილეობას ღებულობენ:** ქ-ბნი გოგოლაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექ იძე, გუნია, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქეიძე, სარაული, ციციშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**
ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. (3.1506.1)

## შეიძლება დაკვეთა:

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ი და ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია ავალიძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში--ელენე ვირსალაძესთან**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბლელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

## სასტუმრო ,,უნივერსალი"

(ძველად ,,მუხრანის ნომრები") **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივნებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** (25·1481.)

## მიიღება ხელის მოწერა

### ,,მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რ ო მ ა ნ ი)

**600** გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—22)

## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიღებულ კვიტანციისა. (წ. 1020 383)

## ნაფიცი ვექილი

ლუკა ლუკას ძე

## ბ ა ხ ტ ა ძ ე

გადავიდა კ ასიკურ ქუჩაზე, სახ. № 14. (3—678—2)

## მედიცინის დოქტორი

## ი. ბ. წუღნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფონი 1090. (6—1500—3)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა ,,606"-ით.** (წლ—1018—77).

## დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს

## ბ. გ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ. დღ. დილის 9—12 ს და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ. ბ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.6)

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20.** (წ.—1022—84)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3,** ს. გაბაშვილისა.

## ნაფიც ვექილის თანაშემწე

## გიორგი თ. ქურდანია

დაბრუნდა ტფილისს და იღებს სისხლის სამართლის და სხვაგვარ საქმეებს.

**მისამართი:** ტურგენევის ქუჩა, სახლი № 2. (3.669.4)

## ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.9)

## კბილის ექიმი

## მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს კბილების ჩასმა და მკვიდრი პლომბი (კორონკები), ხელოვნური კბილები პლასტინკით და უპლასტინკოდ. რეგულიაცია (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება).

მიღებს დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. (25—1504—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქ.-ზე, **№ 3,** ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი **№ 483.**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. ვ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—366. 265)

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—91)

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—142

## ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—48)

## ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.13)

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.23)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.196).

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №


## ქართული პრესა

საარჩევნო ბრძოლა ჩვენში მხოლოდ საგაზეთო პოლემიკაში ისახება. პროგრესიულს ამომრჩევლებს სხვა საშუალება კანდიდატთა შეფასებისა დახშული აქვთ. ამიტომ ჩვენი პერიოდული გამოცემათა აზრს ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ იმდენად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ არ შეგვიძლიან ცოტა ვრცლად არ მოვიყვანოთ ხოლმე. აი, მაგალითად, რასა სწერს გაზეთი "თემი" თავ. ვლ. მიქელაძის შესახებ.

„სცდება ის,—სწერს „თემი",— ვინც ჰფიქრობს, რომ ვლ. მიქელაძე ინდივიდუალური კანდიდატურაა... მართალია, ვლ. მიქელაძემ თვითონ დაასახელა თავისი თავი, მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ გაბედავდა, რომ წინდაწინვე არა ჰქონოდა გათვალისწინებული დღევანდელი საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება და ვითარება. ვლ. მიქელაძე სწორედ მისწრება იყო ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის. თქვენ დააკვირდით, ვინ უჭერს მხარს ამ ჟამად. ყველა ზომიერი, ყველა რეაქციონერი და, წარმოიდგინეთ, ყველა შავრაზმელი ელემენტი. ყველა ესენი ამოძრავდნენ, რაკი ბელადი გაუჩნდათ. ამას ელოდნენ, როგორც მესიას. მართალია, ესენი არც ისე ბევრნი მოსჩანან, როგორც ეს პირველად შეიძლება ეჩვენოს ვისმე, მაგრამ მაინც საჭიროა სიფრთხილე და წინდახედულობა ყველა იმათთვის, ვინც ვლ. მიქელაძის წინააღმდეგ ბრძოლას ზნეობრივ და აუცილებელ მოვალეობად სთვლის",

გაზეთი „თემი" აცნობს მკითხველებს ცნობილ „წიგნაკის" ზოგიერთს ადგილებს და შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენ ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ იმას კი არ მოველოდით მისგან, რომ ასე სუსტად ასწერდა თავის საქმიანობას ქართველ საზოგადოებაში. ჩვენ რომ დაგვეჭირებოდა, უფრო მეტს ვიტყოდით მის მოღვაწეობაზე. ასე იცის ტრაბახმა და ბაქიაობამ!.. მთელი წიგნაკი, რომელიც რაღაც 24 გვერდიდან შესდგება, ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად უსუსური პოლიტიკური მოღვაწეა ვლ. მიქელაძე! ჩვენმა ყოველ-დღიურმა პოლიტიკურმა გაზეთებმა უკვე საკმაოდ გაარჩიეს ეს უბადრუკი წიგნაკი. ჩვენ ხელ-ახლა აქ მის დაფასებას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ რასმე ამტკიცებს ეს ბროშიურა, მხოლოდ იმას, რომ ასეთის შეხედულების, ასეთის მოქმედების ადამიანი არასოდეს არ უნდა გაიგზავნოს ხალხის წარმომადგენლად სადმე".

ამ რიგად ყველა ქართულმა გაზეთმა დაჰგმო თავ. ვლ. მიქელაძის კანდიდატურა. არა გვგონია წარმოსადგენი იყოს ამაზე მეტი თანხმობა სხვა და სხვა მიმართულების ხალხისა. მხოლოდ „ზაკავ. რეჩ"-ში ცნობილი აბისელი იქნევს კუდს როგორღაც ორჭოფულად, მაგრამ იგი ანგარიშში ჩასაგდები არ არის. „ზაკ. რეჩ"-ი ხომ უსათუოდ იქ უნდა იყოს, სადაც პროგრესის ნასახიც არა სჩანს. ეს მისი სტიქიაა, და ამ სტიქიაშივე ჩაკვდება.

* *
*

ქართულ პერიოდულ გამოცემებს კიდევ ორი გამოცემა მიემატა „ხმა კახეთი"-სა და „კლდე". პირველი გაზეთის სახით გამოდის, მეორე ჟურნალისა. „კლდის" შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, „ხმა კახეთი"-ს შესახებ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაცუნდა წინააღმდეგ აზრისა ვიყოთ, ამნაირის გაზეთის გამოცემა მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია. პროვინციის გაზეთში უსათუოდ გაადვილებენ ინტერესს საზოგადოებრივ საკითხებისადმი ისეთს წრეებში, რომელნიც დღემდის სრულიად გულ-გრილად ეკიდებოდნენ. გან-

[illegible] პირველ მეთაურში ამნაირად გადმოგვცემს თავის „მრწამსს“.

„ყველაზე მეტს იმედს ვამყარებთ ჩვენი სოფლის გაღვიძებულსა და შეგნებულს ნაწილზე—იქნება იგი მღვდელი, მასწავლებელი, მემამულე თუ უბრალო მუშა გლეხი, რომელთა შემწეობით ვაძლევთ ყოველივე დაბრკოლებას და ცოტ-ცოტათი, ნაბიჯ-ნაბიჯით გაუძლვებით ამ დიადს საქმეს... „ხმა კახეთისა“ ეცდება მიაწოდოს მკითხველს ცნობები, როგორც ჩვენის საუკუნოებით მეზობლების სომხებისა და მუსულმანების შესახებ, აგრეთვე გააცნოს ის, თუ რა ხდება შესანიშნავი რუსეთსა და სხვა ქვეყნებში... „ხმა კახეთისა“ ეცდება ემსახუროს საზოგადოდ სოფლელებს და კერძოდ გლეხს, მუშას, ხელოსანს და წვრილ ვაჭრებს... „ხმა კახეთისა“ ყოველგვარ პოლიტიკას და მით უმეტეს პოლიტიკანობას ზურგს აქცევს. ამისათვის გაზეთში სამუშაოდ ვიწვევთ ყველას, ვისაც შესტკივა გული ჩვენის მეურნისა, ხელოსან და წვრილ ვაჭრისთვის, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი“.

[illegible] ჰქვს ამ სკოლის გადატანასთან ტფილისიდან ოძისში (დუშეთის მაზრა).

✦ **ჯარიმა.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექციას 1,222 მან. დააჯარიმა.

✦ **ალექსანდრეს საქალაქო საავადმყოფოს** 10 ოქტომბერს აკურთხებენ.

✦ **გ. მ. პავლოვის იუბილე.** 16 სექტემბერს გადახდილ იქმნა „კავკაზის“ თანამშრომლის გიორგი მიხეილის ძის პავლოვის 25 წლის საგაზეთო მოღვაწეობის იუბილე. „კავკაზის“ რედაქციაში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც იუბილარს მიულოცეს ტფ. გაზეთის წარმომადგენლებმა და ნაცნობ-მეგობრებმა. იუბილარმა საჩუქრად მიიღო ნამესტნიკის ვერცხლის აზარფეშა.

### სასამართლო.

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** ყარსსა და ერევანს გაემგზავრება.

### სასწავლებლებში.

✦ **ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებზე.** კურსების დირექტორად მომავალ სამის წლისთვის ხელახლა არჩეულ იქმნა პროფესორი ფ. გ. ბლაგოვიდოვი.

— 15 სექტემბერს კურსებზე ლექციების კითხვა დაიწყო. პრაქტიკული მეცადინეობა 2 ოქტომბერს დაიწყება. სულ 330 მსმენელია.

✦ **საბაღოსნო სასწავლებელში** 22 სექტემბერს დაიწყება იმ მოსწავლეთა გამოცდა, რომელნიც სწავლას წელს ასრულებენ. გამოცდას ბოტანიკურ ბაღის მხრივ დაესწრება სპეციალისტი ვ. მ. სავიჩი.

### ქუთაისი.

✦ **ქართულ ენის მასწავლებლად** ქართულ გიმნაზიის ადმინისტრაციამ მოიწვია ბ-ნი ვუკოლ ბერიძე, რომელმაც წრეულს გაათავა აღმოსავლეთის ფაკულტეტი პეტერბურგში.

✦ **სათათბიროს არჩევნები.** თ-დ ვლადიმერ მიქელაძე ცდილობს თურმე რომ გარდა ბაღდადისა და ქუთაისისა წვრილ მემამულეთა წინასწარი კრება რწმუნებულების ასარჩევად დაინიშნოს ღ. სამტრედიაშიაც, რომელსაც, როგორც ვიცით, ემხრობა ს. კულაში, სადაც თ-დი მიქელაძის მეგვარეები და ნათესაობა სცხოვრობენ.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სამლოცველო ვაგონის კურთხევა.** 15 სექტემბერს საქართველოს ეგზარხოსმა რკინის გზის სადგურზე სამლოცველო ვაგონი აკურთხა, რომლის შემდეგაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურთხევას დაესწრნენ: კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ, ნამესტნიკის თანაშემწენი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და აუარებელი ხალხი.

✦ **ტფილისში მოელიან** ამ დღეებში სენატორს ა. პ. ნიკოლსკის, ნამესტნიკის მოადგილეს უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში და მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს შლიტტეს.

✦ **ალუბალი აყვავდა.** ხელაშვილის სახლის ეზოში (იზმაილოვის ქ., № 27/2) ალუბალი აყვავდა. ამ მოვლენის ასახსნელად ხელაშვილმა ბოტანიკურ ბაღის დირექტორს მიჰმართა.

✦ **სიცხე.** ტფილისში ამ სექტემბრის განმავლობაში საგრძნობელი

✦ ათის თავებმა უკვე აირჩიეს სოფლის საზოგადოებათა ორ-ორი რწმუნებული მთელს ქუთაისის გუბერნიაში, რომელნიც 28 ამ თვეს შეიკრიბებიან სამაზრო ქალაქებში ამომრჩევლების ასარჩევად.

### სოფლად

✦ **დ. ხარაგოული.** 9 სექტემბერს, მახლობელ სოფ. ქროლში, ღამით ვიღაც ბოროტ პირს მოუკლავს გზაზე მიმავალი სოფ. ქროლის მცხოვრები **ვაჭარი ანტონ ალექსიძე.** როგორც გადმოგვცეს 26 ჭრილობა ხანჯლით ჰქონია და ორი ტყვიით. მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

# ქუთაისის ავ-კარგი.

საარჩევნო აგიტაცია მწვავდება. თ-დი ვლადიმერ მიქელაძე სახუმაროთ არ იღჯება. მისი ფარხმალი მისივე ბროშურა „ვინა ხარ შენ“ არის და ამ იარაღით ფიქრობს ლელოს გატანას. რა ფარი და ხმალია ეს ბროშურა—ეს ეხლა ყველამ კარგად იცის, მაგრამ კაცია და გუნება—ბ-ნ ვლადიმირს თავისი ბროშურა მოსწონს და იგი თავის საარჩევნო თილისმად მიაჩნია.

— ვაგონში ვიჯექი,—მითხრა ერთმა სენაკიდან მოსულმა,—კუთხეში რაღაცის კითხვა დაიწყეს, მერე კუთხიდან დაინტერესდა ვიღაცა და იკითხა რა წიგნიაო.

— რავა არ იცი კაცო, თ-დი მიქელაძის „ქებათა ქებაო“ უპასუხა მკითხველმა.

— რას აქებს მერე?

— იმას რომ იგი დიდ კაცია, ჩვენს ქვეყანაში ბევრი უშრომნია, რამდენიმე დაწესებულება ფეხზე დაუყენებია და პეტერბურგში რომ ეს შეუტყვიათ, სამასი ბანკის წარმომადგენელი ერთად შეკრებილა და უთქვამთ „მთელი რუსეთის“ ბანკს თ-დი ვლადიმერი თუ მოაწყობს, თორემ სხვაგან ასეთს კაცს ვერ ვიშოვითო უთქვამთ, მოუწვევიათ და ხუთასი თუმნის მაგივრად, ათას ხუთასი დაუნიშნავთ ჯამაგირი.

— დიდებული კაცი ყოფილა და ვინ არის ის გარეწარი, რომ დეპუტატად იწუნებსო.

— ვის და „სოციალებს“ — არ გვინდა ქვეყნის ამშენებელი, ისევ ჩვენი კაცი უნდა ავირჩიოთო.

დავინტერესდი ამ ბაასით, ჩავერიე ლაპარაკში და მცირე დრო მომინდა, რომ გამეგო, რომ მობაასენი თ-დი ვლადიმერის აგენტები ყოფილან და სხვას-კი ისე უჩვენებენ თავს ვითომ ერთმანეთს პირველად ხედავენ.

ესეც „საეფექტო მანევრია“ თ-დი მიქელაძისა და დაე ესეც სხვებს მიემატოს.

აგენტებმა დასასრულ ერთი ცალი ბროშურისა მითავაზეს და თან ჩემი ვინაობაც იკითხეს.

— ეგ რაღად გინდა?

— რად და იმად, რომ უნდა წარვუდგინო თ-დ მიქელაძეს სია იმ პირთა, ვინც მას მომხრედ მოუპოვეთ.

— მაშ, თქვენ მომხრეთა მთვლით.

— ბატონო სიაში-კი ჩაგწერეთ და დანარჩენი თქვენ იცით.

— ასე აკეთებენ დაქირავებული აგენტები საარჩევნო საქმეს,—დაამთავრა სიტყვა ჩემმა მესაუბრემ.

***

გაზეთის უქონლობა თ-დ მიქელაძეს ხელს უცარავს, თუმცა მისთვის არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენს „ორ ფრონტზე“ ბრძოლა. ხი ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად მან ერთ ხანად მოინდომა საარჩევნო გაზეთის დაარსება, მაგრამ მერე უთუოდ ჩაუფიქრდა საქმეს და ეტყობა ის აზრი დაასკვნა, რომ გაზეთი ხალხის მოთხოვნილებათ უნდა გახდეს და ამისათვის კრებაც მოიწვია 12 ენკენისთვეს.

დაიფანტნენ ქალაქში შიკრიკები, მოიწოდეს „პროგრესისტები“ კრებაზე და მართლა და ქალაქის გამგეობაში საღამოს 8—9 საათზე საკმაოდ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. კრება, რასაკვირველია, მთავრობისგან ნებადართული იყო და მიუხედავად ამისა ვერ აღმოჩნდა ისეთი მამაკაცი, რომ კრების თავმჯდომარეობა ეტვირთა. ერთმა, ორმა, ათმა დასახელებულმა უარი განაცხადა, ბოლოს გამოჩნდა ერთი მამაცი, ჩამოსახრჩობად დამზადებულსავით დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი, გაჩუმდა თითონ, ყუჩაა კრება. ვიფიქრეთ ენას ვერავინ მოაბრუნებს, მაგრამ ისევ კანდიდატმა დაარღვია სიჩუმე — ილაპარაკა იმაზე თუ „ვინ არის ის“, გაიმეორა ის რაც უკვე ცნობილ ბროშურაშია აღნიშნული და სიტყვა იმით დაამთავრა, რომ პარტია უნდა შევკრათ; მას ბეჭდვითი ორგანო დავუარსოთ და სხვა. ამან გამოიწვია ბაასი და როცა ერთმა დამსწრეთაგანმა განაცხადა, რომ თ-დი ვლადიმერ მიქელაძის პროგრამა სუსტია შინაარსით, თუ იგი დღევანდელი დღის შესაფერად არ არის შედგენილიო.

თ-მა ვლადიმერმა დაუყოვნებლივ შეითვისა ეს განცხადება, სხვებს „ოცნებაო“ დაუწუნა და თითონ რეალური პოლიტიკის მომხრეთ გამოაცხადა თავი, ე. ი. ისეთ პოლიტიკისა, რომელიც დროთა ვითარების მიხედვით შეიცვლებაო. უკეთ რომ ვთქვათ, ბ-ნი კანდიდატი იქით გადაიხრება, საითაც რუსეთის პოლიტიკა გაიწევს—თუ მარჯვნით — ბ-ნი ვლადიმერიც აქეთ დაიწყებს ყურებას და თუ მარცხნით—არც ამ მხარეს იუკადრისებს. ან კიდევ უკეთ რომ ვთქვათ სადეპუტატო თავადი თავის თავის პოლიტიკის მესვეურად კი არა ჰხატავს თავს მის კუდში მიმდევრად.

ასეთი განცხადება ბ-ნი ვლადიმერის მომხრეებმა არ იუკადრისეს, მაგრამ ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძეს ისეთი სალერღელი აშლია „მენიუს“ გამოცვლისა, რომ რაც უნდა მისცენ —უარს არ იტყვის.

ერთი უბედურება დაჰყვა თ-დ ვლ. მიქელაძის მოღვაწეობას ქუთაისში. სუყველაფერი კარგად მოაწყო საგიტაციოდ ღვთისა და ფულის შეწევნით, მაგრამ სავიზორჩიკო კაცი ვერ იპოვა ქუთაისისათვის. რამდენიც დაასახელა იმდენი უარი თქვეს; ვიზორშიკების დასახელებას „პროგრესისტების“ პარტიის „კონსტიტუცია“ მოჰყვა, აირჩიეს ბიურო, სარედაქციო კომისია და მოსალოდნელია, რომ საარჩევნო ხანისათვის ქუთაისში გამოხოხორიკდება ახალი გაზეთი. შესდგება „პროგრესისტების“ პარტია, რომელსაც თ-დი ვლ. მიქელაძის სიტყვით 99% მცხოვრებლებისა მიემხრობა. და მაშინ ისეთი ხანა დადგება, რომ თ-დ მიქელაძეს თავის შეწუხებაც არ დასჭირდება — შემოთვლის 99% ამირჩიეთ დეპუტატად და თქმა და ქმნა ერთი იქნება, არც ფულის ხარჯი მოუნდება და არც სხვა რამე. ოღონდ ეს არის გასაკვირველი, აქამდის რატომ არ მოუვიდა ეს ბრწყინვალე აზრი თ-დ ვლ. მიქელაძეს, რაზე იჭირვებდა საქმეს ან ფულს რად ხარჯავდა ან თავს რაზე იწუხებდა—დაეარსებინა „პროგრესისტების“ ჯგუფი მოარჩენდა და გათავდებოდა!

# მეთამბაქოეთა სიდუხჭირე

ამ ბოლო დროს მეთამბაქოობამ ქიზიყში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. უმთავრესად, მეთამბაქოობას ჯუგანელნი მისდევენ; ჯუგანელებს იმდენი თამბაქო მოჰყავთ, რავდენიც დანარჩენ სოფლებს ერთად. სავალალო ჩვენ მეურნეობაში ის არის, რომ ჩვენი სოფლის ნაწარმოებს რიგიანი ბაზარი არა აქვს. ამიტომ ჩვენი მეურნენი ჩარჩების ხელშივარდებიან და უზომოდ იყვლიფებიან.

მეთამბაქო-მწარმოებლის სიდუხჭირე მაშინ იწყობა როცა ნაწარმოები ტფილისში ჩამოაქვს გასასყიდად; ის იძულებულია თავისი საქონელი აივაზოვის ან თუმაევის საწყობში ჰოათავსოს შემდეგ პირობებში: საწყობის ქირა ფუთზე 25 კაპ. გაყიდვამდე, თითო პაჩკაზე (პაჩკა გამოდის $2—2^1/_2$ ფუთამდე) მუშის ქირა 10 კაპ., გაყიდვის შემდეგ ცალზე 20 კაპ. საკომისიოს საწყობის პატრონი იღებს. ყველა ეს ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს მწარმოებელს.

თუ თამბაქოს პატრონსა ჰსურს, საწყობის პატრონი ფულს აძლევს სესხად, თამბაქოს გირაობით, ფუთში 3—5 მანეთს. მსესხებელი ვალდებულია თუმანზე ორი შაური სარგებელი აძლიოს, ისიც წინდაწინვე.

5—6 თვის განმავლობაში (ხანმეტის) მწარმოებელი მოელის მყიდველს, მაგრამ ამაოდ. იგი არა ჩქ[...] რობს, ფეხს აჭერს. ნიათს აცლი[...] რომ უფრო ხელსაყრელად ჩაიგდო[...] ხელში [illegible].

მყიდველნი [illegible] კავკასი[...] ლი [illegible] ბოზარჯიანცი, მირზაბეკიანცი [...] სხვანი.

ჩარჩების მიერ ჩამოტანილი თამბ[...] ქო უფრო მალე საღდება, ვიდრ[...] თვით მწარმოებლისა: საწყობში მა[...] საქონელს უფრო გამოსაჩენ ადგილ[...] აწყობენ; მწარმოებლებისა კი სხვე[...] ში და სადმე კუნჭულებში.

ხშირად ამნაირ გარემოებაში ვარ[...] დებიან მწარმოებელნი: ადგილო[...] ბრივ ჰყიდიან ჩარჩებზე, ტფილისშ[...] ჩამოტანით, როცა ჩამოიტანენ, 2—[...] მან. უკლებენ ფუთში, მორიგები[...] შემდეგ მწარმოებელი უძლური[...] ჩარჩის წინაშე. ერთად ერთი გზა სი[...] დუხჭირისაგან თავის დასახწევად სა[...] ამხანაგო საწყობი და კრედიტია.

ნ—კო

# წკიპურტები.

გაცხარებულ მუშაობაში ვიყავით გართული, ჩვენს რედაქციაში რო[...] ერთი ტფილისში ცნობილი სომეხ[...] შემოვიდა და გვითხრა:

— თქვენ ვლ. მიქელაძის წინააღმდეგი ხართ?

— დიახ, ბატონო?

— მეცა. თუმცა მე სომეხი ნაციონალისტი ვარ, მაგრამ მაინც სოციალ-დემოკრატს ყველაზე მაღლა ვაყენებ. ყველა ახალგაზდა ქართველს ვუქადაგებ, რომ უსათუოდ სოციალ-დემოკრატი გახდეს.

— რათა, ბატონო? თუ თქვენთვის ნაციონალისტი ბრძანდებით, ჩვენთვის რატომ აღარ გემეტებათ ეგ სიკეთე?

— სჯობიან!—მოკლედ მიპასუხა და გავიდა.

ეხლა შენთვის მომინდვია, მკითხველო, იმის გაგება, თუ რადა სჯობიან ან ვისთვისა სჯობიან, რომ სომეხი ნაციონალისტი იყოს და ქართველი სოციალ-დემოკრატი.

***

ყურ მოკრული საუბარი:

— გაიგე, ბიჭო, რომ ქუთაისში ზუთხი დაძვირებულა?

— მაშ, მაშ! ამბობენ არჩევნების ბრალიაო.

— ნამდვილად! განა ვერ გაიგე რამდენ ფულსა ჰხარჯავს თავ. ვლ. მიქელაძე სადილებზე? *) სულ გატყავდება საწყალი!

— შენ არხეინად იყავი. წავა სათათბიროში და ერთბაშად აინაზღაურებს. ამბობენ, ფულის მოგების უნარი ძალიანა აქვსო.

***

ერთს ბანკეტზე ასეთს სიტყვას მოვკარი ყური:

*) რედაქციას საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს, რომ თავ. ვლ. მიქელაძე მართლაცა ჰმართავს სადილებსა. რედ.

# ევროპის მიმოხილვა

(დასასრული *)

ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ერთ-ერთ საგრძნობელ სატკივარს მაკედონიის საკითხი შეადგენს, სადაც ბედისწერული გამოურკვევლობით გადაკვანძულა ბალკანეთის სახელმწიფოთა სხვა და სხვა გვარი ინტერესი. ზემოდ დასახელებულ პატარა სახელმწიფოებსაც იქითკენ უჭირავთ დაუძინებელი თვალი. და აი, თითქოს განგებ, სწორედ იმ დროს, როდესაც ავსტრია ცნობილი პროექტით გამოვიდა, მაკედონიაში თავი იჩინა ისეთმა ამბებმა, რომელმაც ერთბაშად ფეხზე დააყენა პატარა სახელმწიფოები, განსაკუთრებით სერბია და ბულგარეთი. სენიცასა და კოჩანში (მაკედონიაში) მაჰმადიანთა ბრბო შეესია ქრისტიან სერბებსა და ბულგარებს და სისხლის ღვრა მოახდინა. თოფის წამალივით იფეთქა საუკუნოებით ხალხის გულში ჩაგუბებულმა ზიზღმა ოსმალეთადმი. როგორც სერბიასა ისე ბულგარეთში, ქალაქად თუ სოფლად მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები ერთხმად მოითხოვენ თავის მთავრობათაგან ენერგიული ნაბიჯის გადადგმას და ომსაც არ ერიდებიან ოღონდ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ოსმალთა თავაშვებულ ბარბაროსობას მაკედონიაში განსაკუთრებით თავგამოდებულია ბულგარეთი, რომელიც ამ ბოლო დროს ზღაპრული სისწრაფით გაიზარდა როგორც ერი და სახელმწიფო; იგი მაკედონიის საკითხის წამოყენებაში ბაირახტარობას ჩემულობს. აღსანიშნავია ერთი მეტად საინტერესო მოვლენა, სახელდობრ ისა, რომ პატარა სახელმწიფოების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი სავსებით ხალხის ინიციატივას ეკუთვნის, ხოლო მთავრობანი თითქოს მომრიგებელ შუამავლის როლს თამაშობენ, ცდილობენ დაიცვან მშვიდობიანობა და თავის ქვეშევრდომთ მოთმინებას ურჩევენ. სრული ჭეშმარიტებაა ბულგარეთის გამოჩენილი პოლიტიკოსის გეშოვის მიერ ნათქვამი, რომ მშვიდობიანობის დაცვა ახლა მთავრობისაგან აღარაა დამოკიდებულიო. საკითხი ამნაირად და მკაფიოდ არის დასმული: ან ბერლინის ხელშეკრულობის მე-23 მუხლის განხორციელება, ან ომი— ასეთია ბულგარეთ-სერბიის მოთხოვნილება! მომენტი მართლაც რომ მეტად სერიოზულია. ევროპის დიპლომატია, რომელსაც ბალკანეთის საკითხი ყოველთვის საერთო ომის პერსპექტივას დაუყენებს ხოლმე თვალწინ, საგონებელშია ჩავარდნილი. სამთა შეთანხმების სახელმწიფონი — ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი — მშვიდობიანობის დაცვას ურჩევენ სერბია ბოლგარეთს და თანაც აფრთხილებენ: ომიც რომ დაიწყოთ, სულ ერთია, მისი შედეგით ვერ ისარგებლებთ, რადგან ოსმალეთის მიწა-წყლის დასაკუთრების ნებას არავინ მოგცემსთო. ამ ბოლო დრომდე ბალკანეთის სლავურ ქვეყნებს, როდესაც კი რაიმე რთული საკითხი აღიძვროდა მათი ცხოვრების შესახებ, დიდი იმედი ჰქონდათ რუსეთის დახმარებისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავსტრიამ თავისუფლად მიისაკუთრა ბოსნიაჰერცოგოვინა, ცოტა არ იყოს გული გაუტყდათ. ბულგარეთის გავლენიანმა გაზეთმა „მირმა“ ასეთი სიტყვით მიჰმართა სამთა შეთანხმების სახელმწიფოებს: „ჩვენ დიდხანს ვითმინეთ, დიდხანს გიცდიდით, თუ რა გზაზე დაგვაყენებდით, მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად, თუ ასეთი გზით წავიდეთ, რომელიც მალე და პირდაპირ მიგვიყვანს მიზნამდი“. ასეთი „პირდაპირი გზა“ კი სამთა კავშირია—გერმანია, ავსტრია და იტალია. ბულგარეთის პოლიტიკოსებმა, რასაკვირველია, კარგად იციან, რომ ბალკანეთი ამ „სამთა წყვილის“ პოლიტიკურ გავლენის საქიშპო ასპარეზია და რომ აქლემთა ბრძოლაში უდანაშაულოდ კოზაკი არ გაიჭყლიტოს, ამიტომ მათ სხვაგვარ საშუალებას მიმართეს: დროებით დაივიწყეს ისტორიული შუღლი და საძმო ხელი გაუწოდეს სერბიას. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, უკვე სასურველად დაგვირგვინებულა ამ მიზნით მათ შორის გამართული მოლაპარაკება. შეთანხმების მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ოსმალეთის მოსალოდნელი ომის დროს ერთად თანხმობით იმოქმედონ. მათ კავშირს მონატრული თვალით უცქერის განმარტოებული საბერძნეთიც, რომელსაც დიდი საფრთხე გაუჩინა ალბანელთა მიერ ეპირის ალბანიზაციის განზრახვამ. ეპირში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას ბერძნობა შეადგენს, ოსმალეთის მთავრობა ამ ბოლო დროს პროვოკაციას ეწევა: ნიშნავს ალბანელ გუბერნატორებსა და მოხელეებს, შეღავათიანი პირობებით ურიგებს მიწა-წყალს მუსულმანებს და ყოველი საშუალებით ცდილობს ქრისტიანთა შევიწროებას. ადვილად შესაძლებელია ასეთი მუქარით დამფრთხალი საბერძნეთიც შეუერთდეს სლავურ სახელმწიფოების კავშირს და მათთან ერთად ჩაებას ოსმალეთის საწინააღმდეგო ომში, რადგან სხვა საშუალება თავის დაცვისა მას არ მოეპოვება. ასე რომ, თუ ბულგარეთმა გაამართლა თვისი მუქარა და ბალკანეთის პატარა სახელმწიფოების თანხმობა სამთა კავშირისაკენ გადაიხარა, სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა პოლიტიკურ გავლენას კარგა ხნით დაეკარგა ბალკანეთზე გასავალი და შესაძლებელია ამ უკანასკნელთა მიერ ასეთი სიფრთხილით დაცული status quo სულ ადვილად დაირღვეს და დაირღვეს სახელდობრ სამთა კავშირის სასარგებლოდ.

იმ დროს, როდესაც ევროპის სახელმწიფოები იარაღს აჩხარუნებენ და ზოგი საომრად ემზადება, ზოგიც საალყუმოდ, საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფი და პარტია მშვიდობიან კრებებს მართავს წარსული წლის ნამუშევარის გადასათვალიერებლად და მომავლის გეგმის გასათვალისწინებლად. წარსული ორი კვირა ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონგრესთა ნამდვილი ხანა იყო. ჰავრში იმართება საფრანგეთის სინდიკალისტების კრება, ნიუ-პორტში—ინგლისის ტრედ-უნიონისტებისა, ჰემნიცში— გერმანიის სოციალ-დემოკრატებისა. ვენაში უკვე დასრულდა კათოლიკეთა კრება. სინდიკალისტთა პარტია ანუ, როგორც თვით ფრანგები უწოდებენ, „კონფედერასიონ ჟენერალ დუ ტრავაი“ ნამდვილად მუშათა სხვა და სხვა კავშირის უპარტიო ორგანიზაციაა, რომელიც დღეს დღეობით თავის გარშემო იკრებს საფრანგეთის შეგნებულ მუშათა უმეტესობას. წევრთა რიცხვი, რომელიც კავშირისთვის გადასახადს იხდის, 400.000-ია, ხოლო საერთო რიცხვი კი 600.000. როგორც კრების ანგარიშიდან გამოირკვა, ლითონის დამმუშავებელთა კავშირი 15.000 დან 32.000 გაზრდილა; დამტვირთავებისა—15.000 დან თითქმის გასამებულა ტრანსპორტის მუშებისა 5.000 დან 17.000 მდი, მხოლოდ რკინის გზისა და შავ მუშათა კავშირს დაუკლია. კონგრესმა კონფედერაციის წევრად მიიღო მასწავლებელთა კავშირი და, რადგან ამ უკანასკნელს მთავრობასთან ამ ბოლო დროს დიდი ბრძოლა ჰქონდა, კონგრესმა დემონსტრატულად მისი წარმომადგენელი, მასწავლებელი შალოპენი აირჩია კრების თავჯდომარედ: კონგრესის სამუშაო პროგრამა რეფერენდუმის წესითაა შემუშავებული, რომელშიც უმთავრესი ყურადღება ანტიმილიტარიზმსა და მასწავლებელთა სინდიკატისა და მთავრობის ბრძოლას მიექცევა მეტი ყურადღება. ამას გარდა განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: სამუშაო დროის შემცირება, დამოკიდებულება საყოველთაო გაფიცვასთან, ცხოვრების გაძვირება და მოხუცთა პენსიის კანონი,

საინტერესოა ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ხასიათის შედარება. საფრანგეთში სინდიკალისტები შეურიგებელი მტრები არიან პოლიტიკისა და პარლამენტარული საშუალებით ბრძოლის; მათი დევიზია პირდაპირ რევოლუციონური ბრძოლა, ანუ ეგრედწოდებული „აქსიონ დირექტ“. ინგლისში კი წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. ნიუ-პორტის კონგრესზე ტრედ-უნიონისტების თავჯდომარე, სოციალისტი ტორნი ამტკიცებდა, რომ 1869 წლიდან ინგლისში მუშებმა ნაციონალური სიმდიდრის ზრდასთან შედარებით ძლიერ ცოტა რამ მოიგეს: მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ერთი სამად გაიზარდა, მუშის ხელფასი მხოლოდ გაორმაგდა. უკეთეს მდგომარეობას არც უნდა ველოდეთ, სანამ საწარმოო იარაღი უმცირესობის ხელში დარჩება. ამ კაპიტალისტური უმცირესობის დასუსტება მხოლოდ კანონმდებლობის თანდათანი ცვლითა და გაფიცვებით შეიძლება, რაც უტყუარი გზით მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდი—საწარმოო იარაღების ექსპროპრიაციამდეო. სწორედ ამ მიზნით შესდგა ახალი, სპეციალური „მუშათა პარტია“, რომლის 40, წევრაც დღეს პარლამენტის დეპუტატად ითვლება. ნიუ-პორტის კონგრესმა 1.693.000 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 48.000 დაჰგმო განსაკუთრებითი სინდიკალური მიდრეკილება გატაცებულ ახალგაზდათა და მხოლოდ პოლიტიკური ზედგავლენის მნიშვნელობა აღიარა. ამას გარდა კონგრესმა დაადგინა: მომავალ კრებებზე სრულიად მოსპოს საერო სკოლის შესახებ კამათი, რადგან ზოგიერთა ორატორის სიტყვამ კათოლიკე მუშების რელიგიური რწმენა შეურაცჰყო. სხვა გადაწყვეტილებანი, როგორც მაგ., ხელფასის მინიმუმის დაწესება, სამუშაო დროის კანონმდებლობით განსაზღვრა, ნაციონალიზაცია მიწებისა, რკინის გზებისა და ნახშირის მაღაროებისა, თითქმის უკამათოდ მიიღეს.

„ძესა კაცისასა არა უძს, სადა თავი მიიდრიკოს“-ო, სახარებაში რომაა ნათქვამი, სწორედ გერმანელ სოც.-დემოკრატებზე გამართლდა.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 699.

— თქვენი სიტყვა ისე ძალიან მომეწონა, ბ-ნო კიტა, რომ თქვენს მეტი დეპუტატი არავინ მინდა. შერცხვენილი ვიყო, თუ თქვენთვის თავი არ დავსდო!

ეხლა?

ეხლა... საითკენაც ქარმა დაჰბერა.

**უცნობი.**

# აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

შემდეგი.*)

**წერილი მეთექვსმეტე.**

სამშაბათს, 31 ივლისს, ლაილაშელები მიგველოდნენ 12 საათზე. 8 საათზე მგოსანს ეტლი გავუგზავნეთ თავ. დიმ. ყიფიანის მარანში და ჩამობრძანდა ჭრებალოში; ჭრებალოელებს მოემზადებინათ მშვენიერი საუზმე, ხის ძირში გაეშალათ გრძელი სუფრა და მობრძანდა თუ არა მგოსანი, მოვუჯექით სუფრას რიცხვით 30-მდე. საუზმე ერთ საათს გაგრძელდა. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს თავ. **ქაიხოსრო გელოვანმა** მიართვა საჩუქრად მგოსანს ძველებური ვერცხლის აზარფეშა, წონით ოთხ გირვანქა ნახევარი და ამასთანავე გადასცა „თემის“ რედაქტორს გრ. დიასამიძეს აზარფეშაზე წასაწერი შემდეგი ლექსი:

„ნიჭით მდიდარო მიიღე,
ნიჭით ღარიბის ძღვენია,
შენ გაალვიძე საერთოდ
შენი ივერის ძენია;
იცოცხლე კიდევ მრავალ წელს
იყავ ჯანღონით მრთელია,
რუსთველის ღირსო მემკვიდრევ
დიდხანს გვინათე ანთელია!

31 ივლისი ს, ტოლ.

—

ცხრა საათზე გავემგზავრეთ ჭრებალოდან ალპანაში; გზაზე გადავიღეთ „სარმის“ გაუქმებული მონასტერი და კლდეები. ალპანაში ჯანუარის ხიდთან დაგვხვდნენ დიდის აშბით ლაილაშელები და საზოგადოდ ლეჩხუმლები. მივუახლოვდით თუ არა აჭარის ხიდს, გახდა თოფ-დამბაჩების სროლა და აფეთქეს მდ. ლაჯანურაში ნაღმები; ხიდის გასავალში მორთულ კამარასთან შეაჩერეს ეტლი; კამარაზე წავიკითხეთ: „სალამი მგოსანს, სალამი კაკოს, სალამი ძვირფასს, ჩვენს სიამაყეს.“ აქვე **ან. კეჭაღმაძემ** უთხრა მგოსანს შემდეგი სიტყვა: „ჩვენო ნამდვილო მამულიშვილო, ქართველო მგოსანო, აკაკი! მადლობას გიძღვნით აჭარის (იგივე ალპანის) საზოგადოება, რომ ასეთის მოხუცებულობის დროს არ დაგვივიწყე, შემოიარე ჩვენს მიტოვებულს და მივიწყებულს კუთხეში და არ დაგვტოვე არც ჩვენ უნახავი, რითაც რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ეხლაც დაამტკიცე თქვენი ერისადმი ღრმა სიყვარული. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენო დიდებავ, რომ სულითა და გულით გვინდოდა მიგვეღე და დაგვეფასებინე ისე, როგორც ღირსეული ჩვენი ერთი საუკეთესო ქართველი მამულიშვილი, თქვენი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენდა გამოსაღვიძებლად და აღსადგენად განუწყვეტელ და გულმოდგინე შრომისათვის, მაგრამ ვაი რომ ვერ შევძელით, სიღარიბისა გამო; ამიტომ ნიშნად ჩვენი თქვენდამი გულწრფელი სიყვარულისა, ჩვენო საყვარელო აკაკი, გიძღვნით სახსოვრად აი ამ უბრალო ჭიქას, რომელსაც იმედია მიიღებთ და იქნებით სრული დარწმუნებული, რომ ესეც არის თქვენი შრომა და ჯაფწლი აღწევს მიზანს, ილვიძებს 30—40 წლის წინად დაძინებული ქართველი ერი და აწ კი თავისუფლად შეგვიძლიან შემოვსძახოთ: **არ მომკვდარვართ, ალარც გვძინავს, ესეც არის გავიღვიძეთ; ვინც ხარობდა ჩვენსა სიკვდილს, ეხლა იმას დავამიწებთ**“.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 695.

ამის შემდეგ მიმართა შალვა ახვლედიანმა მოსწავლე ახალგაზდობის სახელით: „დიდებულო მგოსანო, გვირგვინო საქართველოსავ? ვუერთდებით მთელ ერს და მოგესალმებით. ჩვენ სალამს ბანს აძლევს ტყეველი, მთა-კლდე და მდინარე, თითქოს ისინიც თავს იხრიან შენს წინაშე; გრძნობენ ისინი, რომ შენ ხარ მათი დამცველი, მათი ერთგული და დაუღალავი დარაჯი. დღეს გზა და გზა გხვდებიან ისინიც, ვისაც არ უსწავლიათ ანბანი, მაგრამ მაინც იხრიან თქვენს წინაშე თავს და აფასებენ თქვენს ღვაწლს. ყველამ იცის, ვინ არის აკაკი; არა ერთხელ აურაკრაკებია თავიანთი ხმა თქვენის ლექსებით დიდს, პატარას, მოხუცს და ახალგაზდას. მე როდესაც შემთხვევა მქონდა გამომეცხადებინა თქვენი მოსვლა მათთვის ისინი დამეკითხნენ, **„რომელი აკაკი, ჩვენი მგოსანიო“**? ეს მაჩვენებელია იმისი, რომ ყველა გიცნობს, ისიც კი, ვისაც მიწისთვის თვალი არ მოუშორებია და სულ თოხისთვის მიუღლევია თავისი ძალა და სიცოცხლე; ჩვენც, ერთი მუჭა ახალგაზრდობას, რომელთაც დუხჭირ აღზრდაში აწოდებდით გონებრივ საზრდოს, კიდევ უფრო გიცნობთ და ვაფასებთ თქვენს ნახევარ საუკუნის ღვაწლს; ჩვენს გულში დაჰკვესა ეროვნულმა გრძნობებმა, აბედი ჩვენი ნორჩი გულია და ტალკვესი კი თქვენი ნაწარმოები. ვსთხოვოთ უზენაეს თქვენს დიდხანს სიცოცხლეს.

გლეხების მხრივ მიმართა მგოსანს გლეხმა **სამსონ ფრუიძემ** შემდეგი ლექსით:

„შენის ნახვითა, მგოსანო,
ყველა ვართ მხიარულია;
კერძო დარდები დავკარგეთ,
თანაც გამხნევდა გულია.
გავფხიზლდით, ალარა გვძინავს
შენ აგვიხილე თვალია,
შევიგნეთ, ვცდილობთ კარგზედა
დამყარდეს მომავალია.
ვალი დიდი გვძევ, მგოსანო,
რაც რომ სიკეთე ჰქენია,
და ჩვენგან მისი გადახდა
საჭიროა და ძნელია.
მაგრამ შეგფიცავთ, მგოსანო,
არ შევიწიოთ ვალია,
შენს მტერს გულსა ვკრათ ისარი
ვახმაროთ ქართველს ფარია,
ზედ თავზედ დავსცეთ მახვილი
მით დაუბნელოთ თვალია,.
გზა-კვალ დაბნევით გარბოდნენ
აღარ ეცალოთ ხანია,
ესე ქმნან შენმა შვილებმა
მით შეგისრულონ ვალია.
გაბრწყინდეს ჩვენი სამშობლო
აყვავდეს ჩვენი ერია,
ვისთვისაცა ხარ მედგარი
მნათობი მშვენიერია“.

მგოსანს მიმართა აგრეთვე ლექსით **ერმილე გაბიანმა**. მგოსანმა გადაკოცნა ყველა ორატორები და მადლობა უთხრა; შემდეგ ცოტა ხანს დაისვენა მდ. ლაჯანურაზე გადამდგარ დუქნის დერეფანში; ამასობაში თანახმად მგოსნის სურვილისა ააფეთქეს ორჯერ-სამჯერ ნაღმები მდინარეში; აფეთქების სურათი გადაღებულ იქმნა კოტე ქავთარაძის მიერ. ერთი საათის დასვენების შემდეგ ამალით გავსწიეთ ლაილაშისაკენ და შევყევით მდ. **ლაჯანურას ხეობას**. დიდებული სურათი გადაგვეშალა თვალ-წინ: ორივე მხრივ თვალ-უწვდენელი სალი-კლდეები, რომელთა ძირში ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ მიიკლაკნება ვიწრო გზა ტკეცილი, ზევიდან კლდის ძირებში ჩამოქუხს ანკარა და თეთრ ქაფ-მოდებული „ლაჯანურა“, რომელიც ხან წყალვარდნილად გადმოსჩქეფს, ხან ნაზად მიმდინარეობს და მორევს წარმოადგენს, მთის გიჟმაჟ მდინაოეს ბნელი ხევიც ხმას აძლევს და მოგზაურს რაღაც სევდებს ჰგვრის, დალამებისას და ღრუბლიან დღეებში კი შიშსაც აგრძნობინებს; კლდეები ერთმანეთს ეღობება, იქით-აქეთ გაიხედავ, თავზე დაგყურებს, მაღლა აიხედავთ, წვეროებით ერთმანეთს უახლოვდებიან და ცის დანახვასაც ხშირად გიშლიან. თან და თან მაღლა ავდიოდით და სხვა და სხვა ნაირი სურათების ცქერით ვსტკბებოდით; მოხერხებულ ადგილს ლაჯანურას ხეობაში ჩვენი მოგზაურობა გადაღებულ იქმნა სინემატოგრაფით, აგრეთვე მხატვარმა ქავთარაძემაც გადაიღო ხეობის რამოდენიმე შესანიშნავი ადგილი. რადგანაც დიდი აღმართები შეგვხვდა, მხლებლები გადმოვედით ეტლებიდან და ფეხით გავყევით მგოსნის ეტლს; რაც შეიძლებოდა ფრთხილად ვიყავით და ვცდილობდით ეტლში მჯდომ ძვირფას მგოსანს რაიმე ხიფათი არ მოსვლოდა საშიშო გზებისა გამო, ხალხიც თან და თან გვეგებებოდა გზებში და დახმარებას უწევდა მეეტლეებს. რადგან მხიარულად მივდიოდით, დაღლილობას აღარ ვგრძნობდით; ამინდიც კარგი გვქონდა, ოდნავ ღრუბლიანი ცა და გამაგრილებელი სიოც ხელს გვიწყობდა; უნდა გაგვევლო ლაილაშამდე ხეობაში შვიდი-რვა ვერსი, თუმცა ბარად ოცდა ხუთი ვერსის გავლა სჯობდა. ნაშუადღევის მეორე საათის ნახევარზე მაღლა მთაზე დავინახეთ ლაილაში, რომელიც ხან გამოჩნდებოდა და ხან ისევ იმალებოდა; თითქმის კიდევ ერთ საათს მოუნდებოდით იქ ასვლას. შეკრებილ საზოგადოებასაც მოვკარით თვალი და ზურნის ხმაც შამოგვესმა; ხალხი მაღლიდან დაგვცქეროდა და მოუთმენლად მოელოდა ძვირფას სტუმრის მიგებებას.

(შემდეგი იქნება).

**ლადო ბზვანელი.**

# სხვა და სხვა ამბავი

**გაზეთების დაჯარიმება.**

„რეჩი“ საგულისხმო ცნობებს იძლევა: ათას ცხრას თერთმეტი წლის პირველ ენკენისთვიდან ამა წლის პირველ ენკენისთვემდე, ადმინისტრაციისაგან დაჯარიმებულია პერიოდული გამოცემები სამას ერთხელ რაც შეადგენს ოთხმოცდა თორმეტ ათას ოცდა ხუთს მანეთს. ამ წელმა თავისი ჯარიმებით გადაამეტა ყველა წლებს, 1907 წელს რედაქტორები დაჯარიმებულნი იყვნენ ას ორმოცდა რვაჯერ (65,000 მ.), 1908 წ.—ასოცჯერ (82,200 მ), 1909 წ.—ასოთხმოცდა ორჯერ (87,375 მ.) 1910 წ.—ორას ორმოცდასამჯერ (60,150 მ.)

პროგრესი საამურია!

**პეტერბურგი.**

როგორც „ნოვოე ვრემ.“ იუწყება: თურქესტანის საპიორთა არეულობის გამო, გარდა გამორიცხულ მესამე როტის უფროს გოდლევსკის გოდილოსი, რომელიც ხელს უწყობდა მეამბოხე გესენს, სამსახურიდან დაითხოვენ, აგრეთვე ზოგიერთ უფროსებსაც, რომელთა შორის მოჰყვება: უფროსი საპიორის ბრიგადისა, გენერალ-მაიორი ალიშევსკი.

**ვ. კოკოვცევის თავაზიანობა.**

„რუსკოე სლოვოს“ ცნობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. კოკოვცევს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ვლადიმირის გუბ. ადმინისტრაციამ ამომრჩეველთა სიიდან გამორიცხა მესამე სათათბიროს წევრების, ჩერნოსვიტოვისა და შინგარევის კანდიდატურა. როგორც ამბობენ, კოკოვცევსა და მაკაროვს შორის ამის თაობაზე მომხდარი ლაპარაკი იმედს იძლევა, რომ ხსენებული დეპუტატების საჩივარს შეიწყნარებენ და მათ კვლავ შეიტანენ საარჩევნო სიაში. ასე რომ, კოკოვცევი ცდილობს განახორციელოს თავისი სიტყვა, რომლითაც მან სათათბიროში განაცხადა, რომ იგი (კოკოვცევი) მოწადინებულია, რათა ხარჯთ-აღრიცხვის კამათის დროს მისი სიტყვის შემდეგ ყოველთვის შინგარევი ავიდოდეს ტრიბუნაზე, ხოლო მას შემდეგ ისევ კოკოვცევი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
16 და 17 ენკენისთვე.

**საზღვარ-გარედ**

**ავსტრიის დელეგაცია.**

**ვენა.** კრამარჟის აზრით ოსმალეთის კონსტიტუციის განახლება შეუძლებელია: ოსმალეთი ან უნდა დაიღუპოს, ან უნდა დამპყრობელ სახელმწიფოდ დარჩეს. თუ ალბანელებს დაემქვემდებარებიან ქრისტიანები, ომი ბულგარეთისა, სერბიისა და საბერძნეთისა აუცილებელიაო. ქრისტიანი ხალხის მართვა-გამგეობა არ შეიძლება მიენდოს არც ოსმალეთს და არც ალბანეთს. უბედურების თავიდან ასაცილებლად კრამარჟს მიაჩნია, პროვინციებისთვის საადმინისტრაციო ავტონომიის მინიჭება. თუ ეს ასე არ მოხდა ატყდება ომი, და ბოლგარეთი, სერბია და საბერძნეთი, ერთხელ გამარჯვებულნი ოსმალეთზე, ავტონომიას აღარ დაჰკმაყოფილდებიან. ოსმალეთის საქმეებში ჩარევა რუმინია, რომელსაც ავსტრიის და რუსეთის ჩარევაც მოჰყვება. თუ მართლა ავსტრია ბალკანეთში არაფერს ეძებს, საქმის მოგვარება ადვილიაო, მივანდოთ ბალკანეთის სახელმწიფოებს დაავალოს განაწილება.

რუსეთს მშვიდობიანობა ჰსურს, მაგრამ ეს არ დაუშლის იმას, რომ ავსტრიას შეუშალოს ხელი ბალკანეთში რაიმეს შეძენაში. თუ მაკედონიას და ალბანეთს ავტონომია ვერ მიეცემა, მაშინ ბალკანეთის ომში ჩარევა მეტი იქნებაო.

**ცხოვრების სიძვირე.**

**ბერლინი.** ბერლინის წარმომადგენელებმა მიართვეს კანცლერს მემორანდუმი ცხოვრების სიძვირის გამო. მემორანდუმი მოითხოვს საჯარო დახმარებას, რათა თავიდან აიცილოს მომავალი შიმშილი.

ბადენი მიემხრო პრუსიას. ხორცის შეტანის გასაადვილებელ ზომების მიღებაში.

**საერთაშორისო კონგრესი.**

**ბერნი.** მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესს აღელვება ეტყობა. პროტესტს უცხადებენ თავმჯდომარეს გერმანელები, რადგანაც მათ მშვიდობიანობის დამრღვეველი უწოდა. იტალიელები უკმაყოფილებას აცხადებენ ტრიპოლიტის საკითხის გამო, ინგლისელები კი იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგი არიან, რომლის ძალითაც ინგლისმა უნდა გაანთავისუფლოს ეგვიპტეო.

**ჟენევა.** საერთაშორისო მშვიდობიანობის კონგრესზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ჰკრძალავს ჰაერში ომს.

**ს პ ა რ ს ე თ ი.**

**უსკიუბი.** უსკიუბიდან გაგზავნილი სერბიელთა სურსათი კუმანოვაში დაიჭირეს. 20 ვაგონი კიდევ შეიპყრეს.

**ურმია.** სპარსეთის ფოსტა მიმავალი სალმისიდან ნავდლუზში ფიდაებმა გაძარცვეს. თავს დაესხნენ აგრეთვე მომავალ ფოსტას, მაგრამ რუსის—ჯარის კაცებმა იხსნეს გაძარცვისაგან.

**უსკიუბი.** რედიფებს უბძანეს მომზადებულიყვნენ. მეთერმეტე დედეჰასის დივიზია მიტროვიცაში იგზავნება.

**გაფიცვის სამზადისი.**

**მადრიდი.** რადგანაც საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, მთავრობა იბარებს 25,000 უვადოდ-გაგზავნილებს. მინისტრთა საბჭო იხილავს კანონპროექტს, რომელიც რკინის გზის მოსამსახურეებს გაფიცვის, ნებას ართმევს როგორც სახელმწიფო მოხამსახურეებს.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** დიდ ალლუმის შეკრების მაგიერ, გადაწყვეტილია მოახდინონ დივიზიის ალლუმი სხვა და სხვა ოლქებში.

სერბიის ელჩს, რომელიც ენერგიულად მოითხოვდა სამხედრო სურსათის თავისუფალ გატარებას ოსმალეთის საზღვარზე, უპასუხეს, რომ სერბიამ უნდა კისრად იდვას მოვალეობა, რათა იარაღი ოსმალეთის წინააღმდეგ არ იქმნას ხმარებულიო. ბერძნები პროტესტს უცხადებდნენ პორტას, მათ გემზე თავდასხმისთვის სამოსისის ნაპირების მხრივ. პორტამ საქმის განხილვა აღუთქვა.

**წყალდიდობა.**

**ბუქარესტი.** წყალდიდობის გამო, ჯარის საალლუმოდ გაგზავნა დობროდუჯში შეჩერებულია.

**მანიფესტაცია.**

**ბელფასტი.** ჰომრულის წინააღმდეგ დიდებული მანიფესტაცია მოხდა.

**კოპენჰაგენი.** რუსეთის ესკადრა წავიდა.

**ბელგრადი.** ჯარის შეკრების ამბავი ძლიერ აღელვებს ხალხს. თუ ბულგარეთის მობილიზაცია გამართლდა, სერბიაც უკანასკნელს მიემხრობა.

**ოსმალთა თავდასხმა.**

**რომი.** გუშინ ოსმალები მისრატის მახლობლად, იტალიელებს თავს დაესხნენ. მოკლულია სამი იტალიელი, დაჭრილია შვიდი.

**ჩინეთი.**

**მუკდენი.** დარახანიანი ურგაში წავიდა, რათა ხუტუხტას უარი ათქმევინოს დამოუკიდებლობაზეო, 2 მილიონი ლანი აღუთქვეს. გირინის და ციციკარის ჯარი საზღვარზე იკრიბება, მანჯურიის პრესა რუსეთის წინააღმდეგაა ამხედრებული: მშვიდობიანობის მოლაპარაკება მონღოლებთან კარგად მიდის.

**რ უ ს ე თ ი**

**ოდესა.** ყველა მონარქიული ორგანიზაციების და ნაციონალისტების შეთანხმება მოხდა. სათათბიროს დეპუტატად პირველ კურიაში ასახელებენ ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრს ჟდანოვს, მეორე კურიაში—ელისავეტგრადის ეპისკოპოზს ანატოლის.

**კოვნა.** რუსის კურია სათათბიროს დეპუტატად ასახელებს სახაზინო პალატის გამგეს ნედოშევინს და სახალხო სასწავლებლების დირექტორს კუკუშკინს. პირველმა კანდიდატობაზე უარი განაცხადა. მეორეს კანდიდატურა უზრუნველ ყოფილია.

**მიტავა.** კურლიანდიის თავადაზნაურების ამომრჩევლებმა აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად გუბერნიის წინამძღოლი გრაფი რეიტერნ-ნოლკენი და მედემი.

**გაზეთების დაჭერა.**

**პეტერბურგი.** ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა გაზეთ „ნევსკი ზვეზდის“ მე 26 ნომერი, წერილ „მუშათა კურიის“ დაბეჭდისთვის. დაჭერილია აგრეთვე გაზეთი „ლუჩი“-ს პირველი ნომერი.

# უცხოეთი

**ალბანეთის ვითარება.**

„რუსკოე სლოვო“-ში მოყვანილია სლავი ჟურნალისტის ნალაპარაკები ალბანეთის ვითარებაზე. საშინელ სურათს წარმოადგენს ალბანია, უთქვამს ჟურნალისტს, მთელი მხარე აკლებულია და გადამწვარი, ბუნებით მდიდარი მხარე გავერანებულია, რის გამოც მცხოვრებნი შიმშილს განიცდიან. ამ უდაბნოთ ქცეულ ქვეყანაში მხოლოდ ოსმალეთის ყაზარმები მოსჩანან.

ჩერნოგორიის გამოსვლამ იხსნა მხარე საშინელი რევოლიუციისაგან. იბრაჰიმ-ფაშამ ჭკვიანურად ისარგებლა ჩერნოგორიის საქციელით და მის წინააღმდეგ ალბანეთი აამხედრა.

ავსტრიისა და ალბანეთის განწყობილება ასეთია: ალბანელები დიდის ნდობით ეპყრობოდნენ ავსტრიას, მაგრამ ხორვატიაში მომხდარ ამბების გამო, რწმენა ალბანელებისადმი შეირყა. ავსტრიას ჰსურს მეტოქეობა გაუწიოს ოსმალეთს ალბანეთის საქმეში.

მოსალოდნელია ახლო მომავალში რევოლიუცია, რომელიც წინა რევოლიუციებს გადაამეტებს თავისი ძლიერებით. თუ ოსმალეთმა რაიმე სისასტიკე გამოიჩინა, ომი ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის აუცილებელია. ფერდინანდი და გეშოვი იდავებენ ბულგარეთს. გეშოვი დარწმუნებულია, რომ ევროპა ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის ატეხილ ომს არ თანაუგრძნობს და ელის მომენტს, როდესაც თვით ევროპა ჩასთვლის აუცილებლად ომს, რომელმაც უნდა შეაჩეროს ოსმალეთის პარპაში. ამ იმედით ცხოვრობს გეშოვი და მასთან ერთად ბულგარეთიო, დაასკვნა ჟურნალისტმა.

**ჩინეთის პრემიერ-მინისტრის გადაყენება.**

ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით, პრემიერ-მინისტრი ლუჯენსიანი ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან დათხოვნილია. ამ რიგად დეპუტატების ძლიერი სურვილი განხორციელებულია. მინისტრმა, ჩაუდგა თუ არა საქმეს სათავეში, დეპუტატებზე იერიში მიიტანა, რითაც პალატაში ძლიერი ოპოზიცია შეჰქმნა. იგი დაცინვით ეკიდებოდა ხალხის წარმომადგენლებს, ბრძოლა მინისტრსა და პალატას შორის დღითი დღე მწვავდებოდა. დე-

წრევანდელი კონგრესი საქსონიის ქალაქ ჰემნიცში შეიკრიბა. წარმოიდგინეთ, რომ იქ, სადაც სოც.-დემოკრატების ნამდვილი ბუდეა, პარტიამ საკრებულო დარბაზი ვერ იშოვა. ჰემნიცის რაიონი ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრთაგანია, ამიტომ მუშათა პარტიის გაცხარებულ პროპაგანდას ადგილობრივი წვრილი ბურჟუაზია უნდობლობის თვალით უცქერის და ყოველი ღონისძიებით ცდილობს მათი ხელისშეშლას. აი სწორედ ამიტომ არც ერთმა სახლის პატრონმა სადგომის გაქირავება არ ისურვა პარტიის კრებისათვის. სოც.-დემოკრატები იძულებული შეიქნენ ქალაქს გარედ გაეხსნათ თვისი სხდომები. მიუხედავად იმისა, რომ კრებას თითქმის ათი ათასამდი პირი დაესწრო, სხდომები უფრო მყუდროდ მიმდინარეობს, ვიდრე უწინდელ კონგრესებზე. წრევანდელ კრებას საზოგადოდ მეტი ჩუმი პრაქტიკული მუშაობის ელფერი აქვს. აღარ ისმის ისეთი სიტყვები, რომელთაც საერთაშორისო საგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდათ. პარტიის ხელმძღვანელები ახლა შინაგანი მდგომარეობის მოწყობა-მოწესრიგებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, რაც, ერთის მხრით, იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ რევიზიონისტთა რიცხვი თანდათან იზრდება. პირველი სხდომები სხვა და სხვა მხრიდან მოსული დელეგატების მისალმებას, პარტიის ხელმძღვანელების მიერ შემუშავებულ მოხსენებათა განხილვას და პრეზიდიუმის არჩევანს მოუნდა. რუსეთიდან კრებას ორი წარმომადგენელი დაესწრო: აქსელროდი და კამენევი. მოხსენებათა შორის საგულისხმოა საარჩევნო ბრძოლისათვის გაწეული ხარჯი, რომელიც 2.400.000 მარკას უდრის და პარტიის წევრთა რიცხვის ზრდა, რომელსაც უკანასკნელ დროს 313.000 წევრი შემატებია.

ევროპის სოციალისტებს არც კათოლიკე-კლერიკალები ჩამორჩნენ. მათაც დიდებული კონგრესი მოაწყვეს ავსტრიის სატახტო ქალაქში. ასეთი კონგრესები, ანუ ევქარისტიული კრება, დიდი ხნის მოვლენა არ არის ევროპაში. იგი იმ ქვეყნებში ჩაისახა, სადაც ეკლესიასა და მთავრობას შორის მეტად გამწვავებული იყო ბრძოლა. პირველი ევქარისტიული კონგრესი ამ ოცდაათი წლის წინად მოხდა საფრანგეთში; მას შემდეგ სხვა ქვეყნებშიც იმართება ხოლმე დრო და დრო, მაგრამ არც ერთს არ გამოუწვევია ისეთი აურ-ზაური, როგორც წრევანდელს. ავსტრიაში კათოლიკობა მთავრობის საბრძოლველ იარაღს წარმოადგენს, ამიტომაც ვენის კონგრესს სულ სხვა ელფერი ჰქონდა. იქ თავი იჩინა ძველმა მისწრაფებამ, რომლის ძალითაც ცდილობენ იესოს განსაკუთრებული კულტის შექმნას. ყოველს ქვეყანაში, ყოველ წელსა და განსაზღვრულ დღეს უნდა იწირებოდეს საგანგებო საზეიმო ვედრება იესოს მიმართ ხალხთა საკეთილდღეოდ. ვენის კათოლიკენი მეტად ფრთხილად დახვდნენ კონგრესს. სოციალისტებიც მოერიდნენ ყოველგვარ კონტრ-მანიფესტაციებს, არც პროტესტანტებს ამოუღიათ ხმა. ამნაირად ეკლესიის არისტოკრატიამ და თავადებმა ბრწყინვალე გამარჯვება იგემეს.

ქართული თქმულებაა: როდესაც ოჯახში რძლები ჩხუბობენ, ციცას ყველის ქოთნისკენ უჭირავს თვალიო. არქიპელაგის ზღვაზე არსებობს პატარა კუნძული იკარიოსი, რომელმაც ჩინებულად ისარგებლა ბალკანეთის არეულობით: შემოიერთა მეზობელი ორი პაწაწინა კუნძული და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. კუნძულზე მყოფ ოსმალეთის ჯარისკაცებს სამგზავრო ფული შეუკრიბა, ჩასვა გემში და მშვიდობიანად ვაისტუმრა. რამდენიმე დღის განმავლობაში ბერძენთა პატარა სახელმწიფომ მშვენიერად მოაწყო ყოველგვარი მართველობა. საზოგადოებრივ მყუდროებას იცავს 250 ჟანდარმი, რომელთა რიცხვიც ომის დროს შეიძლება 500-მდი ავიდეს. ეს პაწია ლაშქარი თვეში ათ დღეს ანდომებს ვარჯიშობას, დანარჩენს შინ მუშაობს. გზათა და მიმოსვლის კომიტეტი ერთგულად მუშაობს: გაჰყავს გზები და ხიდები. ადმინისტრატიულ საბჭოს, რომელსაც მინდობილი აქვს მცირე დამნაშავეთა საქმის გარჩევა, ერთი განაჩენიც კი არ გამოუტანია ჯერ-ჯერობით. უწინ მეტად გახშირებული ქურდობა სრულიად მოისპო. ერთი სიტყვით იკარიოსელნი ღირსეული მოქალაქენი შეიქმნენ თავისუფალი სამშობლოისა. მათ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით: შეიწყნარეთ ჩვენი დამოუკიდებლობა, დროშა (თეთრი ჯვარი ლურჯ არეზე) და ნაოსნობის უფლებაო. ასეთი მშვიდობიანი გზით განახორციელეს იკარიოსელებმა დამოუკიდებლობა.

შეიძლება მათ ბედს უნგრეთის პარლამენტიც კი შეჰნატრებოდა. მგონი კონსტიტუციონური ბრძოლის ისტორიას არ ახსოვს იმდენი აყალ მაყალი და სისხლის ღვრა, რამდენიც უნგრეთის პარლამენტს. გაზაფხულის სესიაში მიღებულმა სამხედრო კანონ-პროექტმა იმდენად გააბრაზა ოპოზიცია, რომ ობსტრუქციებით რომ ვეღარას გახდა უმრავლესობასთან, იარაღს მიმართა. ერთმა ოპოზიციონერმა რევოლვერი ესროლა პალატის თავმჯდომარეს, გრაფ ტისას და შემდეგ თვითვე თავი მოიკლა. უმცირესობა იმედოვნებოდა, რომ მეფე დაჰგმობდა უმრავლესობის უდიერობას და მით იხსნიდა პარლამენტს მომავალი „სკანდალისაგან“, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ, ნაცვლად უმცირესობის მოლოდინისა, დააჯილდოვა კიდეც მინისტრი ლუკაჩი და პალატის თავმჯდომარე ტისა. პარლამენტის დასვენების დროს უმრავლესობა შეეცადა უმცირესობის გულის მოგებას: ტისა მზად იყო უარი ეთქვა დელეგაციაში თავმჯდომარეობაზე, მთავრობამ აღუთქვა საპარლამენტო ნაკაზის ზოგიერთი სასტიკი მუხლის შეცვლა და სხვა. მაგრამ ოპოზიცია ამით არ დაკმაყოფილდა, მათ ტისას გადადგომასთან ერთად ლუკაჩის გადაყენებაც მოითხოვა და გადაჭრით განაცხადა, რომ იგი ახალ ნაკაზს არ დაემორჩილება. მართლაც, გაიხსნა თუ არა პარლამენტის სხდომა, ოპოზიციამ ნაცად საშუალებას—ობსტრუქციას—მიმართა. საკანონმდებლო დარბაზი ნამდვილ იარმუკის სანახაობას წარმოადგენდა: ყვირილი, ლანძღვა-გინება, სხვა და სხვა საყვირის ძახილი, ჯოხებითა და ხელით ბრახუნი უშლიდა მუშაობის დაწყებას. ტისამ სამჯერ ორ-ორი საათი შესწყვიტა სხდომა, მაგრამ როცა ამანაც ვერ უშველა საქმეს, დარბაზში პოლიცია შეიყვანა და ძალით განდევნა ოპოზიციის დეპუტატები, რომელთაც ფორმალური ბრძოლა გაუმართეს მინისტრებსა და პოლიციელებს. სამ საათს გაგრძელდა ხელჩართული ცემა-ტყეპა, რომლის დროსაც ბევრი დაშავდა და ბევრსაც გული წაუვიდა. ბოლოს მაინც უმრავლესობამ გაიმარჯვა.

**კოლხი.**

პუტატები ენერგიულად მოითხოვდნენ მინისტრის გდაყენებას, მაგრამ ლუჯენსიანს პრეზიდენტი მფარველობდა. უკანასკნელმა ამბებმა, სახელდობრ უჩანის დელეგატების დასჯამ, ძლიერ ააღელვა დეპუტატები, რამაც პრეზიდენტის დეკრეტი გამოიწვია.

## თეატრი და ხელოვნება

კვირას, 16 სექტემბერს გაიხსნა ქართული თეატრის სეზონი ტრადიციული „სამშობლო“-თი. ჩვენი თეატრების რეპერტუარში ხშირად ნახავთ ისეთ პიესებს, რომელთაც მხოლოდ ტრადიცია, ერთხელვე კანონად გადაქცეული ჩვეულება თუ ამაგრებს ქართულ სცენაზე, თორემ თვისი შინაგანი ღირებულებით დღეს დიდს არაფერს წარმოადგენენ. ასეთ პიესათა რიგს ეკუთვნის ჩვენი „ქალარა“ „სამშობლოც“. მაგრამ მიუხედავად ამისა, არის მასში ისეთი ელემენტი, რომელიც, ჩემის აზრით არასოდეს არ დაჰკარგავს მნიშვნელობის ხალისს—ეს არის ქეთევანის პიროვნება, ტიპი მეტად იშვიათი, თუ ერთად ერთი არა, ჩვენს ისტორიასა და ლიტერატურაში. იგია მკაფიო გამომხატველი უკიდურესი ინდივიდუალური „მე“-სი, რომლის სამშობლო მხოლოდ სიყვარულია—მის წინაშე მიაქვს ქეთევანს ზვარაკად ყველაფერი, რაც ასულდგმულებს და უნდა ასულდგმულებდეს ჭეშმარიტ მოქალაქესა და ადამიანს—სინდისი და სამშობლოს სიყვარული. ეს არის სწორედ „სამშობლოს“ დრამის კვანძი, რომელიც სრული განსახიერებით უნდა წარმოგვიდგინოს თვალწინ მსახიობმა. გუშინდელ წარმოდგენაში კი ჩვენ ვერ ვიცანით ქეთევანი. საზოგადოდ უნდა აღვიაროთ, რომ წრევანდელ „სამშობლოს“ ახალი არა შემატებიარა. ტრადიციული პიესა—ტრადიციულადვე ითამაშეს. საზოგადოება ბევრი დაესწრო.

Ris.

**ქ. ბათუმი.** ქართულმა დრამ. დასმა „მოგზაურ“-მა გახსნა სეზონი ქ. ბათომში 15 სექტემბერს. წარმოდგენილი იყო ოთხ მოქ. დრამა ანდრეევისა „გაუდეამუს“. წარმოდგენის წინა დღეს გამოსცეს „ალმანახი“ თეატრის ფურცელი, სადაც მოთავსებული იყო სხვა და სხვა საოხუნჯო სტატიები. თეატრის ისტორია და მისი მნიშვნელობა. სხვათა შორის ისიც ეწერა, რომ აწინდელ დასის შედგენა და საქმის დაწყება 4000 მან. გვილირსო.... ამ გარემოებამაც ვერ იმოქმედა აქაურ საზოგადოებაზე, რომელიც დაშინებულია სცენის მოყვარეთა უხეირო წარმოდგენებით—და ამიტომ ამ პირველ წარმოდგენასაც ხალხი შედარებით ნაკლები დაესწრო.

წარმოდგენამ—საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენის წინ ბ. შ. დადიანმა განუმარტა საზოგადოებას მნიშვნელობა თეატრისა—საზოგადოდ და კერძო პროვინციებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხდენილი თამაშით ბ. შ. დადიანი, ქ. რონელი, ანდრონიკაშვილისა და ბ. მურუსიძე. ბ. ყულამბეგაშვილი თვისი დიქციით და მოქმედებით ტიპური გამომხატველი იყო გალოთებული სტუდენტთა ცხოვრებისა... დანარჩენები უწყობდენ ხელს საზოგადო ანსამბლს.

ლაპარაკის დროს, რომ მუსიკა გაეჩუმებინათ კარგი იქნებოდა, რადგან-ხმაურობაში არაფერი ისმოდა.

დასი მეორე წარმოდგენას ნინოშვილის „სოფლის გმირებს“ დგამს, და მიემგზავრება ნოვოროსიაში, სადაც მიწვეულნი არიან, იქიდან სოხუმს და შემდეგ ისევ ბათომში დაბრუნდებიან.

**ჭობარელი.**

**ფოთი.** შაბათს, 22 სექტემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სკოლის დარბაზში გაიმართება ორიგინალური სალიტერატურო „სალამო-მეჯლისი“. პირველ განყოფილებაში გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას: „ხელოვნება და სინამდვილე“ შემდეგ წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს შემდეგი მწერალ-მოღვაწენი: იონა მეუნარგია, ტონკმელი, დ. მესხი, ქ. უმბაძე, ჯ. ჯორჯიკია, ვასო ურუშაძე, ლადო გეგეჭკორი, ი. გრიშაშვილი და სხვანი. დასაწყისი სალამოს 9 საათზე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ სოფ. იკალთოს მცხოვრებ თავ. დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და ალავერდის ქართული სკოლის სასარგებლოდ 30 მანეთი შემოსწირა.

სოფლის რწმუნებული **პეტრე დავ. მეტრეველი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულუფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.
**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.
**ასტრაში** ხუთშაბათობით სალამოს 6 საათ.
**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.
**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით სალამოს 6 საათზე.
**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით სალამოს 8 საათზე.
**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით სალამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.
**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.
**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.
**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.


## განცხადებანი

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

დაიბეჭდა და **გასასყიდათ გამოვიდა**
**წიგნი**
**„დებულებანი ამიერ კავკასიის გამიჯვნის საქმისა“,**
(„Положеніе о размежеваніи закавказскаго края“)
**მესამე გამოცემა შესწორებული** ალ **თვალსაჩინოდ შევსებული** ახალ განმარტებითა და 1897 წ. მაისის 26-ს გამოცემულ კანონთა დებულების ჩართობით, რომელიც გამიჯვნის საქმების საშუალებას ეხება. შეადგინა **კ. ე. დოლგოვმა**, ტფ. სამოსამართლო პალატის წევრმა. **ფასი 1 მ. 50 კ.** წიგნის საწყობი წიგნის ცენტრალურ სავაჭროში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი.
(4.1485.4)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“**—11—12 ს. **შეუხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი სამავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ნავასარდიანი.**
(წ. 1078.215)

**პეტერბურგის კონსერვატორიაში** სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

**ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.**
სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.11)

**ე. ა ცატუროვის დეპოში**

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი
**რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.**
**ფასები** 8 კ.—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**
ფულის
(40—1400—22)

მიიღეთ მარიამობისთვის
**შვედური და დელიკატესნი კილკები.**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,**
**გირვანქა 1 მ. 60 კ.**
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და **კობრი,** |საზანი.|
(წ.1131.255)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა**
**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე**
**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**
**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოციშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათოშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—105 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:**

| | |
|---|---|
| ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ. | მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ქვრივი . . . 35 |
| გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . 85 „ | მოკლე სახელმძღ. [illegible] |
| მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „ | წყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიქ. 20 |
| ანბანი კუბიკებზე . . 1 მ.— | ფიზიკური გეოგრაფია . . 20 |
| წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, . . . . . 50 „ | ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 „ |
| წყარო, იმერვე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „ | ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ. 30 „ |
| არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „ | ახალი ალთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 „ |
| იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „ | ძველ. აღთქ. სამღ. ისტ. მისივე 50 „ |
| მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „ | ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . . . 5 „ |
| | ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 „ |
| | ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 კ. |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.124)

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის** პიესა
**„გ ა მ ც ე მ ი“**
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**
**არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:**

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

**ვკისრულობ:**

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას.
4. ყოველგვარ აზრების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას.

მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და სალამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.
(25—1496—8) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

**იმერული შამპანიური ღ ვ ი ნ ო ე ბ ი,**
**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,
**„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“**
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**
**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.166.32)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
**ბუხჰალტრიის პრაქტიკული კურსები**
**და კომერციული ანგარიშში**
**ი. ფ. კალატნიკოვისა,**
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან სალამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერმოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: **1. ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) **ბ) ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, **სოფლის** მეურნეობისას, ქალაქისას და ეროზისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. საკომერციო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
(25—1447—12)

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
**ნ. ვ. აბრაამიანის**
**საბუღალტრო კურსები**
(არსებობს 1895 წ.)
**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450—11)


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“